resorted to by Georgian and English writers to create satire, humour, irony, grotesque, or sarcasm. To attain a comic effect they make use of the principle of incongruity of the content and the form of its expression. Numerous examples of situational humour may be found in their works. Even Georgian and English characters, finding themselves in similar social settings, come to resemble each other. Naturally many of them are marked by utter individuality as well. A pronounced difference is found in such examples of comic narration which are rendered by linguistic means (peculiar syntactic word order, dialect, jargon, distorted or mixed speech...). The language characteristic of Charles Dickens, William Thackeray, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Giorgi Eristavi, and David Kldiashvili imparts an inimitable colour to their works, playing a major role in the creation of a comic effect. Difference is also observable where Georgian and English writers describe a highly characteristic national situation. These similarities and differences demonstrate once more that national literatures do not exist locally, their unity creating world literature.

შეკვეთა 63

ტირაჟი 100

საქ.მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,თბილისი 380060 კუტუზოვის ქ.19

899.962.1=42
ო-952

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ხელნაწერის უფლებით
Copyright

მარიკა ვახტანგის ასული ოძელი

Marika V. Odzeli

# ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები და რეცეფციები

# GEORGIAN-ENGLISH LITERARY CONTACTS AND RECEPTIONS

10.01.02 ქართული ლიტერატურა
Georgian Literature

10.01.06 დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა
West European and American Literature

სადისერტაციო მაცნე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

Thesis announcement
of a work submitted for a degree of doctor of philology

თბილისი 1994 Tbilisi

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

ოფიციალური ოპონენტები: ნატალია კონსტანტინეს ასული ორლოვსკაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი შალვას ძე ციციშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სოლომონ გიორგის ძე ხუციშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 1994 წლის „27" „04" „13$^{00}$" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P10.01.C N10-3 სხდომაზე. 380028 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1994 წლის „25" „03"

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი პროფესორი ნოდარ ტაბიძე

- 1485 -

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე საკმაო ხანია ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერატურის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ლიტერატურის, ლოკალიზებულად შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ ეტაპზე არასრულფასოვანია. მისი კვლევა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ჩვენი აზრით, ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურა ვერ განვითარდებოდა ამა თუ იმ ეპოქის საერთო სააზროვნო სიბრტყიდან ამოვარდნილი. სხვადასხვა ეროვნულ მწერლობას ერთმანეთთან ყოველთვის აკავშირებდა მეტნაკლებად უშუალო მიმართებები თუ განვითარების საერთო კანონზომიერებანი. ქართული ლიტერატურა ადრეულ ეტაპზევე შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაში – ისტორიული პროცესების შესაბამისად იგი ჯერ აღმოსავლურ და ბიზანტიურ, ხოლო შემდეგ დასავლეთის ლიტერატურულ წრებრუნვაში მოექცა. ქართული ლიტერატურის კვლევამ მსოფლიო ლიტერატურის პროცესთან სხვადასხვა კუთხით მიმართებაში კი თავი იჩინა XIX საუკუნიდან. ამ ხასიათის კვლევა თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგრძნობლად დამუხრუჭდა. ყურადღების გადატანამ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობებზე და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთიანი პრინციპების ფორმირებამ შეზღუდა როგორც უცხოეროვნულ ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობის, ასევე ამ სფეროს კვლევის გეოგრაფიული არეალი და განსაზღვრა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი მიმართულებაც. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობისაგან და იწყო ჩიხში შესვლა. აქედან გამოსვლის ერთადერთი სწორი გზა

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе